შპს. „კუბიკი“

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

საწარმოს რეკონსტრუქციის პროექტი

დაშენება

(ქ. თბილისი, ორხევის დასახლება, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ, გ. ამილახვარის ქ. #15

ს.კ. 01.19.18.003.044)

არქიტექტორი: მ. სირაძე



შეასრულა: *ნ. ქარქაშაძე*

2022წ.

საწარმოს რეკონსტრუქციის პროექტი
(ქ. თბილისი, ორხევის დასახლება, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ, გ. ამილახვრის ქ. №15
ს.კ. 01.19.18.003.044)

დაშენების განხორციელების შენაკრები კალენდარული გეგმა

ეტაპები	სამუშაოების განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები	მშენ. ხანგრძ. თვეების მიხედვით	თვეების რაოდენობა პერიოდების მიხედვით			
			I თვე	II თვე	III თვე	IV თვე
1	2	3	4	5	6	7
	I რიგის სამუშაოები					
I	მოსამზადებელი სამუშაოები; სამშენებლო მოედნის მოწესრიგება, მათ შორის ამორტიზირებული და გაწმენდითი სამუშაოების წარმოება სახურავზე, სამშენებლო ნაგვის გატანა.	1				
II	შენობა-ნაგებობის ძირითადი ღერძების დაფიქსირება;	1				
	II რიგის სამუშაოები					
III	ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულის ზევით-ლითონის კარკასის მონტაჟი (შეღებვით)	1				
IV	სახურავის მოწყობა	1				
V	არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა	2				
VI	ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა	2				
VII	გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები	2				

შენიშვნა: ვინაიდან პროექტი მოიცავს მხოლოდ არსებულ შენობაზე დაშენებას, შესაბამისად 255 დადგენილების მიხედვით მეორე რიგის სამუშაოები 5 ეტაპზე მეტი ვერ განხორციელდება.

მოპ-1

1. მშენებლობის დაწყება აითვლება მშენებლობის ნებართვიდან.

2. მშენებლობის ხანგრძლივობა მიღებულია 4 თვის პერიოდით, 2 რიგად, 7 ეტაპად.

3. კალენდარულ თვეში მიღებულია 25 სამუშაო დღე შაბათის ჩათვლით, კვირა დასვენების დღედაა ჩათვლილი.

4. სანებართვო პირობებით გათვალისწინებული მშენებლობის ეტაპის დასრულებამდე 10 დღით ადრე ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ. (დადგენილება 255; მუხლი 20, პ9)

5. კოდექსით განსაზღვრული პირის მიერ მშენებლობის დასრულების შესახებ ოქმი დგება სამშენებლო მოედანზე წარმოებული სამუშაოების დათვალიერებისა და სანებართვო პირობებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე. (დადგენილება 255, მუხლი 20; პ.10)

განმარტებითი ბარათი:

წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, ორხევის დასახლებაში, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ, გივი ამილახვარის ქ. #15, ნაკვეთზე ს.კ. 01.19.18.003.044 შპს. „აპტოს“ კუთვნილ ფართზე, #01/3 შენობაზე არსებულ ტერასა-სახურავზე დაშენების მშენებლობის ორგანიზების დაგეგმვას რიგითობის და ეტაპების მიხედვით. სამუშაოების განხორციელებისგეგმიური ხანგრძლივობა განსაზღვრულია 4 თვით (იხ. კალ. გრაფიკი მოპ-2).

წარმოდგენილი სარეკონსტრუქციო პროექტით დაგეგმილია არსებულ შენობაზე „ა1 - ა“ და „4 - 9“ ღერძებს შორის სახურავზე ახალი საოფისე ფართის მოწყობას. კარკასი უნდა მოეწყოს ლითონის მსუბუქი კონსტრუქციით, რომელიც შეიმინება და შეიმოსება არქიტექტურული კვანძების მიხედვით, თავზე უნდა მოეწყოს მინის გადახურვა. შიდა ფართი მთლიანად უნდა მოპირკეთდეს და აღიჭურვოს თანამედროვე საინჟინრო ქსელებით და მოწყობილობებით.

1. სამუშაოების ორგანიზების რიგები და ეტაპები

I რიგის სამუშაოები:

I ეტაპი-მოსამზადებელი სამუშაოები; სამშენებლო მოედნის მოწესრიგება, მათ შორის ამორტიზირებული და გაწმენდითი სამუშაოების წარმოება, სამშენებლო ნაგვის გატანა.

1.მოსამზადებელი სამუშაოები: მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, ვადის ათვლიდან უნდა განხორციელდეს ნებართვით მითითებული საჭირო შეთანხმებების და ნებართვების განხორციელება შესაბამისი სამსახურებიდან, ასევე უნდა განხორციელდეს საჭიროების შემთხვევაში არსებული საინჟინრო ქსელების ჩაჭრა-გადალაგება პროექტების და ნებართვების მიხედვით, შესაბამისი საექსპლუატაციო სამსახურების ჩართულობით; ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს დროებითი ქსელების მოწყობა სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო გამრიცხველიანებით, ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს:

1.1 დროებითი სათავსების მოწყობა- ვინაიდან სამუშაოები მოიცავს ექსპლუატირებულ შენობაზე დაშენებას, ამიტომ სასურველია ობიექტის არსებულ შიდა ეზოს ფართში გამოიყოს ადგილი დროებითი სათავსებისათვის (დროებითი ღია ან დახურული საწყობი, გასახდელი..) იხ. მოპ-1.

1.2. ობიექტის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით არსებული ქსელებიდან, აქტის შედგენა მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოების შესახებ.

1.3. საპროექტო ფართის მთლიან პერიმეტრზე სამუშაოების დაწყებამდე, უსაფრთხოებისათვის უნდა მოეწყოს დახრილ ლითონის დგარებზე დამცავი ბადეები მინ. 1მ. სიგანით, (რაიმეს ვარდნის შემთხვევაში თავიდან აცილების მიზნით)

1.4. ვინაიდან შენობა ექსპლუატაციაშია, ამიტომ ყველა სამუშაო, როგორც გასასუფთავებელი, სამშენებლო ასევე სარემონტო-მოსაპირკეთებელი, უნდა იწარმოოს მხოლოდ ხელით, მაღალი კვალიფიკაციის და გამოცდილების ინჟინერ- ტექნიკური პერსონალით.

1.5. ობიექტიდან მოხსნილი მასალების ჩატანა ეზოში და ახალი მასალების მიწოდება უნდა იწარმოოს ეზოდან ე.წ. „მექანიზმზე დამონტაჟებული თანამედროვე ამწე კალათებით“, ამისათვის აუცილებელია წინასწარ გამოიყოს მანიშნებელი ლენტებით ადგილი მცირე გაბარიტული ავტოთვითმცლელის განსათავსებლად. (იხ. სამშენებლო გენგეგმა მოპ-1) უნდა მოეწყოს დროებითი მანიშნებელი, რათა სამუშაოებში დაუსაქმებელი პირები არ მოხვდნენ დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს ავტომანქანებთან. უშუალოდ სამსენებლო სამუსაოებში დასაქმებულები საპოროექტო ფართზე სესაზლებელია მოხვდნენ მფლობელის სიდა ფართებიდან კიბის სასუალებით, შესაბამისად საწიროების დამიხევით , სამუშაოების დროს ინტენსიურად უნდა ხორციელდებოდეს შიდა ექსპლუატირებული ფართის დასუფთავება სამშენებლო ნარჩენებისგან.

1.6. ზემოთაღწერილის შემდეგ უნდა დაიწყოს არსებული სახურავის ფენილის მოხსნა, სხვადასხვა მოპირკეთებების მოხსნა,

დატვირთვა ერთჯერადათ ე.წ. „ტომრებში“, მექანიზმით ან ნაწილის ხელით ჩამოტანა-დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და გადაყრა შესაბამისი ნებართვით სამშენებლო ნაგავსაყრელზე.

1.7. სასურველია მოსახსნელი სამუშაოების განხორციელების დროს ყველა სამუშაო დაინამოს მტვრის თავიდან აცილების მიზნით.

II ეტაპი- ძირითადი ღერძების დაფიქსირება

2.1. საპროექტო დაშენების ძირითადი ღერძების დაფიქსირება; გეოდეზიურ-დაკვალვითი სამუშაოები - მოსამზდებელი სამუშაოების და მობილიზაციის დასრულების შემდეგ წარმოებს შენობის ღერძული დაკვალვა და მისის მიბმა რეპერებთან, რაც სრულდება სპეციალისტთა მონაწილეობით და სათანადო აქტის შედგენით.

2.2. თავდაპირველად ამაგრებენ დაკვალვის გარე ქსელს სამშენებლო მოედანზე ნახაზზე მიღებული ღერძების გადატანით ნატურაში, სანიველირო და დგომითი დაკვალვის წერტილები უნდა იყოს გაერთიანებული.

2.3.ელემენტებისა და კონსტრუქციების გეგმიური და მაღლივი მდგომარეობა, მათი ვერტიკალურობა, ჩასატანებელი დეტალების დაყენების სიზუსტე მოწმდება შენობის შიდა დაკვალვის ნიშნულებიდან.

II რიგის სამუშაოები:

III ეტაპი

ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულის ზევით-ლითონის კარკასის მონტაჟი (შეღებვით)

3.1.გეოდეზიური სამუშაოების დასრულების შემდეგ, უნდა განხორციელდეს კონსტრუქციული პროექტის მიხედვით ლითონის კარკასის (სვეტების, რიგელების და ა. შ.) ხისტი ჩამაგრება არსებულ მონოლითურ რკინაბეტონის კონსტრუქციებში, შემდეგ ლითონის კიბის კარკასის მოწყობა ხელით, ლითონის კონსტრუქციები წინასწარ

სასურველია დაჭრილ იქნას შესაბამის ზომებად და ამის შემდეგ მექანიზმით განთავსდეს ბოლო გადახურვაზე. შემდეგ უნდა დამუშავდეს, შეიღებოს ანტიკოროზიული და ცეცხლმედეგი მაღალი ხარისხის ზეთოვანი საღებავით. ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს სპეც. საფასადე მინით კარკასის შემინვა.

IV ეტაპი- სახურავის მოწყობა

4.1. ლითონის კარკასის სამღებრო სამუშაოების დასრულებისა და გაშრობის შემდეგ უნდა იწარმოოს სახურავის კოჭების ნაწილის შემინვა ფასადის მსგავსად, ნაწილ კარკასზე უნდა მოეწყოს ე.წ. „სენდვიც - ფილებით“ გადახურვა.

4.2.სახურავის ფენილის მოწყობასთან ერთად უნდა განხორციელდეს წყალშემკრები და წყალჩამომყვანი სისტემის მონტაჟი.

V ეტაპი

არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა

5.1. სახურავის დასრულების შემდეგ შესაძლებელია კიბის უჯრედის ირგვლივ შიდა კედლების მსუბუქი ბლოკის წყობით ამოყვანა-შევსება. შიდა კედლები და ტიხრები ამოყვანილ უნდა იქნას 10სმ. სისქის ბლოკის წყობით და თაბაშირ-მუყაოს (ლითონის დგარზე მოწყობილი ორი მხრიდან ორმაგი ფილებით შემოსილი, შუაში ბგერა და თბოიზოლაციით) მსუბუქი კონსტრუქციებით.

5.2. პროექტის მიხედვით უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ტიპის შეკიდული ჭერების მოწყობა ლითონის მსუბუქ კონსტრუქციებზე (ქვეშ საიზოლაციო ფენებით). შემდეგ უნდა მოპირკეთდეს კედლები, ბოლოს უნდა განხორციელდეს იატაკის ფენილების მოწყობა.

VI ეტაპი- ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი

6.1. შიდა კედლების ამოყვანის შემდეგ უნდა განხორციელდეს შიდა საინჟინრო ქსელების მონტაჟი, მოეწყოს შახტები, დგარები და შიგ ჩალაგდეს ქსელები, ყველა სამუშაო უნდა განხორციელდეს საინჟინრო პროექტის მიხედვით. (ელექტროობის, სუსტი დენების, გათბობის, ვენტილაციის, ხანძარუსაფრთხოების და ა. შ პროექტების მიხედვით)

VII ეტაპი

გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები

7.1. გარე შემინვის შემდეგ უნდა დამონტაჟდეს პროექტის მიხედვით და პროექტის ავტორთან შეთანხმებული სხვადასხვა თანამედროვე მექანიზმებით აღჭურვილი კარებები და ფანჯრები ორმაგი მინაპაკეტით შემინული (საკეტებით, აქსესუარებით და მოწყობილობებით);

7.2. ირგვლივ ტერასაზე უნდა მოეწყოს ლითონის მოაჯირი, დამუშავებული ანტიკოროზიული და ცეცხლდამცავი საღებავებით, მთლიანად უნდა მოპირკეთდეს ტერასები არქ. კვანძების მიხედვით თანამედროვე მასალის გამოყენებით.

7.3. ობიექტი ვერ ჩაბარდება ექსპლუატაციაში დაშენების სრული დამთავრებისა და დასუფთავების გარეშე. ბოლო თვეებში უნდა დაიგეგმოს მთლიანი ობიექტის დასუფთავება მიმდევრობით და მომზადება ექსპლუატაციაში მისაღებად.

7.4. მშენებლობის მომარაგება მასალებითა და ნაკეთობებით ორიენტირებულია ბაზარზე, ამავე დროს სამშენებლო ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს მძლავრი საწარმოო ბაზა და ამასთანავე უნდა იყოს დაკომპლექტებული მაღალი თანრიგის მუშებითა და შესაბამისი ინჟინერ ტექნიკური პერსონალით.

7.4. სამშენებლო ობიექტი ყოველდრიურად უნდა კონტროლდებოდეს უსაფრთხოების ინჟინერის სპეციალისტების ქვეშ, საქართველოში მოქმედი უსაფრთხოების კანონმდებლობის მოთხოვნების

შესაბამისად. ინტენსიურად უნდა მიმდინარეობდეს უსაფრთხოების კუთხით ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გადამზადება.

7.5. სამუშაოთა მწარმოებელმა განუწყვეტლივ უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით. არქიტექტურულ, კონსტრუქციულ ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმებისა და ნახაზების კორექტირების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და პროექტის მთავარი არქიტექტორის მხრიდან.

8. რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები

8.1. მშენებლობის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში:

№	დასახელება	მარკა	რაოდენ. ცალი
1	2	3	4
1	ე.წ. ამწე კალათა	უცხოური წარმოების	1
2	მცირეგაბარიტული ავტოთვითმცლელი, სპეც. ავტოთრანსპორტი სამშენებლო მასალების შემოსატანად	სხვადასხვა	2
3	ავტოამწე (მობილური) მასალის გადმოსატვირთად და დასასაწყობებლად	სხვადასხვა	1
4	შესადუღებელი აგრეგატი	СО -48	2
5	ცემენტის ფენის მოსასწორებელი აგრეგატი	СО -89	2
6	შესალეს-მომასწორებელი აგრეგატი	СО -54	2
7	ელექტროშესადუღებელი აპარატი	კომპ.	2
8	სამღებრო სადგური	КПС-2	2

9	დიზელ გენერატორ 100კვა.	ცალი	1
10	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა	კომპ.	10
11	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპ.	30

8.2. რეკომენდებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.

9. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად „სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში” და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე: საქართველოში მოქმედი “მშენებლობის უსაფრთხოების წესები” (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 27.05.2014წ. №361 დაგენილებით;)”; და „სნ და წ. 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში” და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით.) კერძოდ:

9.1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

9.2. ზედმეტი ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.

9.3. მშენებლობაში საჭიროა სერტიფიცირებული მასალების და ნაკეთობების გამოყენება მათი ტოქსიკურობის გათვალისწინებით დაშვებულ ნორმებში.

9.4. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს დღიურ მოთხოვნილებას.

9.5. საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას, საღებავების, ლაქის წასმისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურავებს.

9.6. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურებაც არ მოხდეს.

9.7. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

9.8. სამშენებლო მოწყობილებათა ჩართვა (საწევლები, ელექტრო შესადუღებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია. ელექტროქსელის სამსახურის ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და განათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

9.9. ამწე საწევლების; ელექტროსაწევლას და სხვა მანქანა მექანიზმების მუშაობის პეროდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

9.10. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს სახიფათო ზონაში დაუშვებელია. ავტოამწის

მუშაობის დროს მოშორებით დგება მესიგნალე და აწესრიგებს როგორც ფეხმავალთა, ასევე ავტოტრანსპორტის მოძრაობას.

9.11. აუცილებელია შეზღუდვის საზღვრების მითითება დროებით ღობეზე და სხვა თვალსაჩინო ადგილებში ავტოტრანსპორტის მოძრაობის შემზღუდავი ფირნიშებთან ერთად და მათი განათების უზრუნველყოფა ღამის საათებში.

10. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები


10.1. მშენებლობის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანების თავიდან ასაცილებლად.

10.2. საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულების პერიოდში ფასადებს საჭიროა ჩამოეფაროს ფარდა, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებულ ზონაში.

10.3. დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭებში ბეტონ და ხსნარმილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

10.4. ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მომქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატული დოკუმენტების შესაბამისობით.

საპროექტო გენგეგმა მ. 1:500



ექსპლიკაცია:

არქიტექტურული ნაწილი

არქიტექტურული ნიშნები:

არქიტექტურული ნიშნები:
- წითელი ხაზი
- დროებითი შემოღობვა მანიშნებელი ლენტით
- დროებითი დამცავი გალე ლითონის ბახრილ დგარებზე
- ტრანსპორტის ბჭის მანიშნებელი

ექსპლიკაცია:
I-საპროექტო ფართი
II-დროებითი და საწყობი
III-სამშენებლო ავტოტრანსპორტი

შენიშვნა:

	შ.პ.ს. კუბიკი L.T.D Cubic
დამკვეთი	შ.პ.ს. აატოს
მისამართი	ქ. თბილისი, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ ს/კ 01.19.18.003.044

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	მ. სირაძე	
არ. მთ. არქ.	მ. სირაძე	
დაამუშავა	ნ. ქარქაშაძე	

პროექტის დასახელება

საწარმოს რეკონსტრუქციის პროექტი

მასშტაბი	ნახაზის დასახელება
1:200	სამშენებლო გენგეგმა

სტადია	ფურცლის №	ფურცლები	დაკვეთის №
პროექტი	მოპ-1	1	A2